ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2218651

ნომერი: AR1345580

თარიღი : 29.09.2015

გაცემის თარიღი : 02.10.2015

გაცნობის თარიღი : 02.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაღმართი ვერა (ყოფ. ელბაქიძე), ბაღი სკვერი "სამაია" , ტერიტორიის ნაწილი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დევი სტურუა პ/ნ 01017014030
- თბილისი ლ.ქიაჩელის ქ. N 2

ორგანიზაცია:
- შპს ალგო კოდი: 209441193

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ.თბილისში, დაღმართი ვერა (ყოფ. ელბაქიძე), ბაღი სკვერი "სამაიას" , ტერიტორიაზე დეკორატიული გაფორმების ობიექტების მოწყობის საკითხს.
გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, სამსახურის მიერ, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილ იქნა ხარვეზები, კერძოდ:

1. არ არის წარმოდეგნილი ინფორმაცია არსებულ სკვერში საპროექტო დეკორატიული გაფორმების მოწყობის მიზანის და საჭიროების შესახებ;.
2. ფოტომონტაჟზე არ არის წარმოდგენილი სკვერში განსათავსებელი საპროექტო ობიექტების ექსპლიკაცია ;
3. არ არის წარმოდგენილი გენგეგმა საპროექტო ობიექტების ადგილმდებარეობის , მათი პარამეტრების და ექსპლიკაციის აღნიშვნით;
4. არ არის წარმოდგენილი განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გაცნობებთ, აგრეთვე, რომ საპროექტო სამუშაოები არ შეიძლება შეეხოს „სამაიას შადრევანს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 15 დღის ვადაში დაგევალოთ ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორება, რის შემდეგაც სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს მოთხოვნაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.